საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

04 ნოემბერი 2024 წ.

KA000030969044524

№ **2024/6041**

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

აფგან სადიგოვის სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.[1] მათ შორის, აპარატი აქტიურად აკვირდება საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვისას ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად მდგომარეობას.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც რელევანტურია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და სახალხო დამცველის მოსაზრებით დაეხმარება სასამართლოს საკითხის გადაწყვეტაში

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოგიდგენთ ამიკუსს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, აფგან სადიგოვის (SADIGOV AFGAN, დაბადების თარიღი: 06.12.1976, სამგზავრო დოკუმენტის №CO4094457) საქმესთან დაკავშირებით.

1. ***ფაქტობრივი გარემოებები***

2024 წლის 24 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს (შემდგომში „აპარატი“) მომართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქემ, აფგან სადიგოვმა (SADIGOV AFGAN, დაბადების თარიღი: 06.12.1976, სამგზავრო დოკუმენტის № CO4094457) საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის შესახებ მესაზღვრის გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით. განცხადების თანახმად, აფგან სადიგოვი არის აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელიც აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრობის შემდეგ, 2023 წლის თებერვალში ჩამოვიდა საქართველოში. 2024 წლის 18 ივლისს აფგან სადიგოვი ოჯახთან ერთად ცდილობდა ბოსნია და ჰერცეგოვინაში გამგზავრებას, თუმცა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე უარი ეთქვა. საკითხის შესწავლის შემდეგ, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას დაიწყოს გამოძიება 2024 წლის 18 ივლისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე აფგან სადიგოვის მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი

გამოიწვია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[2]

2024 წლის 03 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია აფგან სადიგოვის დაკავების შესახებ. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაკავებული იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ მუქარისა და გამოძალვის ფაქტზე ძებნილი აზერბაიჯანის მოქალაქე ა. ს. მისი შემდგომი ექსტრადირების მიზნით. აღნიშნული პირი, 2024 წლიდან მუქარისა და გამოძალვის ფაქტებზე გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის იძებნებოდა.[3] განმცხადებელი 2024 წლის 04 აგვისტოდან თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე იმყოფება საექსტრადიციო პატიმრობაში.

დამატებით, 2024 წლის 08 აგვისტოს განმცხადებელმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით. განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, ჩატარდა ანკეტირებისა და გასაუბრების პროცედურები. 2024 წლის 16 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მხრიდან განმცხადებელს განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე არ დაკმაყოფილდა.[4] აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლის მიზნით ბენეფიციარმა მიმართა სასამართლოს.

2. ამიკუსში წარმოდგენილი ინფორმაციის შესახებ

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველი მიმოიხილავს საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტებს. მოსაზრებაში განმარტებულია რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს პასუხისმგებელმა უწყებებმა (მიგრაციის დეპარტამენტი/ სასამართლო) საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვისას. კერძოდ, რა გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა დადგინდეს, მაძიებლის შესაძლო დევნის ფაქტი, როგორ უნდა განიმარტოს ამგვარი დევნის საფუძვლიანი შიში, როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი, რომელ ფაქტებს უნდა მიენიჭოს/არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა, და რამდენად აუცილებელი და საჭიროა იმ კონტექსტის დეტალური შეფასება, რომელიც არსებობს წარმოშობის ქვეყანაში.

ამასთან, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება და გადაწყვეტილებაში/დასკვნაში არ ასახულა ინფორმაცია იმ სოციალური ჯგუფის შესახებ, რომელსაც განმცხადებელი მიაკუთვნებს თავს, მოსაზრებაში წარმოდგენილია აზერბაიჯანში ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობის ამსახველ წყაროებზე ინფორმაცია, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თაობაზე.

სახალხო დამცველის შეფასებით მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება აფგან სადიგოვისთვის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის გადაწყვეტილების „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის საკითხზე.

3. საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის სახელმძღვანელო პრინციპები

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს **საფუძვლიანი შიში,** რომ იგი შეიძლება გახდეს **დევნის** მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

1951 წლის კონვენციის 1ა მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, ტერმინი „ლტოლვილი“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და **საფუძვლიანი შიშის** გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს **დევნის** მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ანარ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.[5]

3.1. საფუძვლიანი შიშის შეფასება

საფუძვლიანი შიში, რომ .... გახდეს დევნის მსხვერპლი” წარმოადგენს განმარტების საკვანძო ფრაზას. ის ასახავს ავტორების შეხედულებას პირის ლტოლვილად ჩათვლის ძირითად ელემენტებთან დაკავშირებით. ის ანაცვლებს მანამდე არსებულ მეთოდს, რომლის მიხედვითაც ლტოლვილის განმარტება კატეგორიების მიხედვით ხდებოდა (ე.ი. გარკვეული წარმოშობის პირები, რომლებიც ვერ სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით თავიანთ ქვეყანაში) და ზოგადი პრინციპის სახით განსაზღვრავს „შიშის“ შესაბამის მოტივს. შიშის სუბიექტური ხასიათის გამო განმარტება მოიცავს ლტოლვილად აღიარების თავშესაფრის მაძიებელი პირის სუბიექტურ ელემენტს. ამდენად, ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისათვის ძირითადად საჭირო იქნება თავშესაფრის მაძიებლის განცხადებების შეფასება, და ნაკლებად — მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასება.

შიშის ელემენტს — განწყობა და სუბიექტური მდგომარეობა — ემატება კვალიფიკაცია „საფუძვლიანი“. ეს ნიშნავს, რომ პირის ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს არა მხოლოდ შესაბამისი პირის განწყობა, არამედ ისიც რომ მისი განწყობა გამყარებულია ობიექტური გარემოებით. ამდენად, ტერმინი „საფუძვლიანი შიში“ შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისგან, და საფუძვლიანი შიშის არსებობის განსაზღვრისას აუცილებელია ორივე ელემენტის გათვალისწინება. [6] სუბიექტური ელემენტის შეფასება თავშესაფრის მაძიებლის საქმის შესწავლის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან იდენტურ პირობებში სხვადასხვა ადამიანის ფსიქოლოგიური რეაქციები შეიძლება არ იყოს ერთნაირი. იმ მნიშვნელობის გამო, რომელსაც განმარტება ანიჭებს სუბიექტურ ელემენტს, აუცილებელია შეფასდეს რამდენად სარწმუნოა მოწოდებული ინფორმაცია, განსაკუთრებით, თუ წარმოდგენილი ფაქტებიდან გამომდინარე საქმეში არსებული ფაქტები არ არის საკმარისად მკაფიო.

რაც შეეხება ობიექტურ ელემენტს, აუცილებელია თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასება. თავშესაფრის მაძიებლის განმცხდებლის მიერ წარმოდგენილი **ფაქტების განხილვა არ უნდა ხდებოდეს აბსტრაქტულად და საჭიროა მათი შეფასება შესაბამის კონტექსტთან კავშირში.** თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებული პირობების ცოდნა — მართალია, ძირითად მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანი ელემენტია თავშესაფრის მაძიებლის სანდოობის შეფასებისათვის. ზოგადად, თავშესაფრის მაძიებლის შიში საფუძვლიანად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ მას შესაძლებლობის ფარგლებში შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისთვის წარმოშობის ქვეყანაში დარჩენა განმარტებაში განსაზღვრული მიზეზების გამო გაუსაძლისი გახდა ან დაბრუნების შემთხვევაში, იმავე მიზეზების გამო აუტანელი გახდებოდა რომ დაბრუნებულიყო იქ.[7]

არ არის აუცილებელი, რომ ეს მოსაზრებები ემყარებოდეს განმცხადებლის პირად გამოცდილებას. მაგალითად, ის, რაც შეემთხვათ მის მეგობრებს და ნათესავებს, ან იმავე რასობრივი ან სოციალური ჯგუფის წევრებს შეიძლება ადასტურებდეს, რომ მისი შიში, რომ ადრე თუ გვიან ისიც გახდება დევნის მსხვერპლი, საფუძვლიანია. **ასევე გასათვალისწინებელია, პირის წარმოშობის ქვეყნაში არსებული კანონები, განსაკუთრებით კი, მათი გამოყენების პრაქტიკა.** თითოეული პირის სიტუაცია უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, საქმეში არსებული კონკრეტული ფაქტების და გარემოებების საფუძველზე. ცნობილი პიროვნების შემთხვევაში დევნის ალბათობა შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე იმ ადამიანის შემთხვევაში, რომელიც არ არის ცნობილი. ყველა ამ ფაქტორის შეფასების შედეგად, როგორიცაა, პიროვნების ხასიათი, მისი წარსული, მისი გავლენა, მისი სიმდიდრე ან მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა შესაბამისი პირის დევნის შიშის „საფუძვლიანობის“ შესახებ.[8]

3.2. „დევნის“ დადგენა და მნიშვენლობა

1951 წლის კონვენციის 33–ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ან თავისუფლებისათვის საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო ყოველთვის წარმოადგენს დევნას. ადამიანთა უფლებების სხვა სერიოზული დარღვევები, იმავე მიზეზების გამო, ასევე წარმოადგენს დევნას. ის, თუ რამდენად გაუტოლდება სხვა ზიანის მომტანი ქმედება ან საფრთხე დევნას, დამოკიდებულია გარემოებებზე, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებს ახლავს, მათ შორის, ზემოთ აღნიშნულ სუბიექტურ ელემენტზე. დევნის შიშის სუბიექტური ხასიათის გამო საჭიროა შეფასდეს შესაბამისი პირის დამოკიდებულება და განწყობა(ემოციური ფონი) ფაქტებისადმი.

დევნა უნდა განვასხვავოთ საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად დანიშნული სასჯელისგან. ადამიანები, რომელიც სამართლებრივ დევნას ან სასჯელს გაურბიან, როგორც წესი, არ ითვლებიან ლტოლვილებად. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ლტოლვილი არის უსამართლობის მსხვერპლი — ან პოტენციური მსხვერპლი, და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაურბის. აღნიშნული განსხვავება შესაძლოა ზოგჯერ ბუნდოვანი იყოს.

იმის დასადგენად, უტოლდება თუ არა სამართლებრივი დევნა კონვენციის მნიშვნელობით დევნას, აუცილებელია შესაბამისი ქვეყნის კანონების გათვალისწინება, რადგან შესაძლებელია, რომ იმ ქვეყნის კანონი არ შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა აღიარებულ სტანდარტებს. მეორეს მხრივ, უფრო ხშირად, დისკრიმინაციული შეიძლება იყოს არა კანონი, არამედ მისი გამოყენება. პირის სამართლებრივი დევნა „საზოგადოებრივი წესრიგის“ წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, მაგალითად საინფორმაციო ფურცლების გავრცელების გამო. ეს შეიძლება წარმოადგენდეს დასჯად ქმედებას პუბლიკაციის პოლიტიკური შინაარსის გამო.[9]

ასეთ შემთხვევებში, სხვა ქვეყნის კანონების შეფასებასთან დაკავშირებული აშკარა სირთულიდან გამომდინარე, მიმღები ქვეყნის ხელისუფლებას ხშირად შეიძლება მოუწიოს გადაწყვეტილებების მიღება საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ამას გარდა, შესაძლებელია აგრეთვე ადამიანის უფლებათა შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში განმტკიცებული პრინციპებით ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების გამოყენება, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად მხარე სახელმწიფოებისათვის. აღსანიშნავია, რომ პაქტების ხელშემკვრელი სახელმწიფოების დიდი ნაწილი იმავდროულად 1951 წლის კონვენციის მხარეა.

სრულყოფილი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება

მოპოვებული და შემოწმებულია და როდესაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხის განმხილველი სპეციალისტი კმაყოფილია თავშესაფრის მაძიებლის ზოგადი სანდოობით. თავშესაფრის მაძიებლის განცხადებები უნდა იყოს თანმიმდევრული და დამაჯერებელი და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოდ ცნობილ ფაქტებს.[10]

3.3. გადაწყვეტილების თავშესაფრის მაძიებლის სასარგებლოდ მიღების პრინციპი

მას შემდეგ, რაც თავშესაფრის მაძიებელი შეეცდება მისი მიერ მიწოდებული ინფორმაციის დასაბუთებას, ზოგიერთი განცხადებისათვის შეიძლება მტკიცებულებების უზრუნველყოფა ჯერ ისევ შეუძლებელი იყოს. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ლტოლვილმა „დაამტკიცოს“ საქმის ყველა ნაწილი და ამ მოთხოვნის მოქმედების შემთხვევაში, ლტოვილთა უმრავლესობის აღიარება არ მოხდებოდა. ამდენად, ხშირად აუცილებელია სრულყოფილი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში **გადაწყვეტილება მიიღებოდეს თავშესაფრის მაძიებლის სასარგებლოდ.**[11]გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი თავის კომენტარში - თავშესაფრის მოთხოვნისას მტკიცების ტვირთისა და სტანდარტის შესახებ აღნიშნავს, რომ ცხადია განმცხადებელს აქვს სიმართლის თქმის ვალდებულება. თუმცა ასევე მხედველობაშია მისაღები ფაქტი, რომ განმცხადებელი, განცდილი ტრამვული გამოცდილების გამო, შესაძლოა ვერ საუბრობდეს თავისუფლად. ამასთან, დროის გასვლისა ან წარსული მოვლენების სიმძაფრის გათვალისწინებით, განმცხადებელი შესაძლოა ვერ იხსენებდეს ან/და ზუსტად ვერ გადმოსცემდეს მოვლენათა თითოეულ ფაქტობრივ დეტალს ან ერეოდეს ის. ამდენად, განმცხადებელი შესაძლოა ბუნდოვნად ან არაზუსტად გადმოსცემდეს მოვლენების დეტალებს. ყველა თარიღის ან უმნიშვნელო დეტალების ვერდამახსოვრება, ისევე როგორც მცირე სახის შეუსაბამობები, უმნიშვნელო ბუნდოვანებები ან არასწორი განცხადებები (რომელიც არ არის არსებითი) მართალია სანდოობის საბოლოო შეფასებისას შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული, მაგრამ არ უნდა წარმოადგენდეს გადამწყვეტ ფაქტორებს.[12]

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

სასამართლო მეგობრის ამ ნაწილში აპარატი მიმოიხილავს რეგიონული/საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, ანგარიშებს და კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტების საქმიანობასა დაკავშირებით რა სასამართლოს დაეხმარება შესაბამის საკითხებზე მსჯელობის პროცესში.

4.1. ევროპის საბჭო

აზერბაიჯანი 2001 წლიდან არის ევროპის საბჭოს (შემდგომში: „ევროსაბჭო“) წევრი. ევროსაბჭოს მრავალი ინსტრუმენტი აფასებს ქვეყანაში ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობას.

4.1.1. საპარლამენტო ასამბლეას რეზოლუციები და შეფასებები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას იურიდიულ და ადამიანის უფლებათა საკითხთა კომიტეტმა 2023 წელს გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით „ჟურნალისტთა და უფლებადამცველთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების საფრთხეები აზერბაიჯანში.[13] დოკუმენტში მიმოხილულია აზერბაიჯანელი ჟურნალისტების, ბლოგერებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ზოგადი მდგომარეობა, მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, გატაცებების, დაპატიმრებისა და გასამართლების შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ქვეყანაში არსებულ მედია გარემოზე და ჟურნალისტთა რეპრესირების შემთხვევებზე, მათ წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ზრდასა და მათთვის მტრული გარემოს შექმნაზე.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მუდმივად აღიარებდა, რომ აზერბაიჯანში ჟურნალისტთა დევნის მზარდი შემთხვევები და მედიის თავისუფლების შეზღუდვა სისტემური ხასიათის პრობლემა იყო. შედეგად, საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშები მუდმივად გამოთქვამს შეშფოთებას ჟურნალისტთა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე.[14]

2020 წლის 2317(2020) რეზოლუციაში „მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების საფრთხეები ევროპაში“ მითითებულია აზერბაიჯანში არსებულ მტრულ გარემოზე, რომელიც სერიოზულად ზღუდავს მედიის თავისუფლებას, აგრეთვე, მითითება კეთდება სისხლის სამართლის კანონების ბოროტად გამოყენებასა და დამოუკიდებელ ჟურნალისტიკაზე ზეწოლაზე.[15]

4.1.2. ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის მოვალეობაა ადამიანის უფლებათა დაცვა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. კომისრის საქმიანობა მოიცავს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საკითხებში საკანონმდებლო და პრაქტიკული დარღვევების გამოვლენას.

აზერბაიჯანში 2019 წელს ვიზიტის შემდეგ ანგარიშში[16] კომისარი უთითებს, რომ ჟურნალისტები და სოციალური მედიის აქტივისტები, რომლებმაც გააკრიტიკეს ხელისუფლება ან გამოხატეს განსხვავებული აზრი, სხვადასხვა საფუძვლით დაკავებულები არიან ან იმყოფებიან პატიმრობაში. ხშირ შემთხვევაში ბრალდებები უკავშირდება პოლიციის დაუმორჩილებლობას, ხულიგნობას, გამოძალვას,

გადასახადებისგან თავის არიდებას და ა.შ. ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთა საქმეებზე კომისარმა 2022 წელს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მართლმსაჯულების ზეწოლის მეშვეობით (ე.წ. judicial harassment) დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების დაშინების პრაქტიკაზე. [17]

4.1.3. ევროსასამართლოს პრაქტიკა

ევროსასამართლომ მიიღო არაერთი განაცხადი აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველებისაგან, რომლებიც ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან მათი უფლებების დარღვევას სისტემური დევნისა და შევიწროებას. ერთ-ერთი პირველი საქმე ამ თვალსაზრისით *არის ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Najafli v. Azerbaijan),[18]* რომელიც ეხება არავტორიზებული დემონსტრაციის გაშუქების გამო ჟურნალისტის ცემას. სასამართლომ კონვენციის მე-3 და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. მე-10 მუხლი დაირღვა *ავაზ ზეიანლოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Avaz Zeynalov v. Azerbaijan)* საქმეშიც. ამ საქმეში ჟურნალისტს ბრალად ედებოდა პარლამენტის წევრისგან ქრთამის მიღება კომპრომატული ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის სანაცვლოდ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტის საცხოვრებელ სახლში, სამუშაო სივრცესა და ავტომობილში ჩხრეკა-ამოღების ღონისძიებები ჩაატარეს, რის გამოც დაირღვა მე-10 მუხლი. საქმე *ემინ ჰუსეინოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Emin Huseynov v. Azerbaijan)* ეხება პოლიციის მიერ დამოუკიდებელი ჟურნალისტის თვითნებური დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. სასამართლომ კონვენციის მე-3, მე-5 და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. შემდეგში, აპლიკანტს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მოქალაქეობა ჩამოართვა, რაც ევროსასამართლოს განხილვის საგანი გახდა და სადაც კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.

ჰილალ მამმადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Hilal Mammadov v. Azerbaijan)[19] ეხება გაზეთის მთავარი რედაქტორისა და თალიშების ეთნიკური ჯგუფის ლიდერის არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. აპლიკანტი ნარკოტიკების უკანონო ფლობის საფუძველზე პოლიციამ დააკავა და სცემა. სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლისა და 34-ე მუხლის (საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა) დარღვევა დაადგინა. განმცხადებელმა საჩივარი წარადგინა გაეროს თვითნებური დაკავების ჯგუფშიც, რომელმაც, დაადგინა თავისუფლების უფლების დარღვევა, სხვა უფლებებთან, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში.

ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Ismayilova v Azerbaijan)[20] ასახავს ჟურნალისტთა დევნის უფრო დეტალურ მეთოდებს, ვიდრე ეს არის თვითნებური დაკავებისა და ყალბი მტკიცებულებებით ბრალდების შემთხვევები.

საქმეში *ჰუსეინოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Huseynova v Azerbaijan)[21]* დაირღვა სიცოცხლის უფლების პროცედურული ნაწილი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა სათანადო გულმოდგინებით არ გამოიკვლიეს განმცხადებლის მეუღლის მკვლელობა დაკავშირებული იყო თუ არა მის ჟურნალისტურ საქმიანობასთან. სასამართლოს შეფასებით, საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით, ეს მოტივი სრულიად არ იყო დაუჯერებელი. ჟურნალს, რომელსაც მსხვერპლი დამოუკიდებლად აქვეყნებდა, ხელისუფლებისა და ოპოზიციისადმი ძალიან კრიტიკულად განწყობილი რეპუტაცია ჰქონდა, ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას ხელს უშლიდნენ. ამასთან, ჟურნალისტის წინააღმდეგ 30-ზე მეტი სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა. სასამართლოს შეფასებით, ნათელი იყო, რომ მის მკვლელობას შესაძლოა ქვეყანაში მყოფი სხვა ჟურნალისტების საქმიანობაზე მსუსხავი ეფექტი ჰქონოდა.

საქმე *ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Aliyev v. Azerbaijan)[22]* სასამართლოს მხრიდან შეფასდა, როგორც ხელისფლების კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველების თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრების ნიმუში. იგი განხორციელდა რევანშისტული სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით, რამაც საბოლოო ჯამში, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა გამოიწვია. *ბაგიროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Bagirov v. Azerbaijan)* ეხება კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლის დარღვევას, რაც გამოიწვია ადვოკატისთვის უფლებამოსილების შეჩერებამ, მის მიერ პოლიციელთა სისასტიკეზე გამოთქმული კრიტიკის გამო.

რასულ ჯაფაროვი, ნატიგ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Rasul Jafarov v. Azerbaijan[23] Natig Jafarov v. Azerbaijan)[24] ეხება ცნობილი ადამიანის უფლებათა და პოლიტიკური აქტივისტების დაკავებას არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მოქმედებების სავარაუდო შეუსაბამობებთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა რომ განმცხადებლების დაკავება და დაპატიმრება განხორციელდა კონვენციაში გაუთვალისწინებელი მიზნების მისაღწევად, ესე იგი, ღონისძიებები განხორციელდა თვითნებურად რათა ხელი შეშლოდა უფლებადამცველთა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქმიანობას. ამ საქმეშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ დარღვევას ჰქონდა თვითნებური ბუნება, რომელიც ფესვგადგმულია აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგნელების დამოკიდებულებებში და რაც გამოიხატება კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

5. *დასკვნა*

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში წარმოდგენილი ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს სათანადოდ შეაფასოს აფგან სადიგოვისთვის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის გადაწყვეტილების „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის საკითხი.

პატივისცემით,

---

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2

[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 09 ოქტომბრის № 2024/5317 წინადადება

[3] ინფორმაცია გავრცელდა არაერთი მედიასაშუალებით. იხ. < https://shorturl.at/SzKOe >, [10.10.2024]

[4] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 16 სექტემბრის MIA 4 24 02833827 გადაწყვეტილება

[5] სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისადა კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლისკონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად, გვ.12

[6] სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლისკონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად, გვ.12

[7] იქვე, გვ.13

[8] სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლისკონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად, გვ.14

[9] სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად, გვ.17

[10] იქვე

[11] იქვე, გვ.50

[12] Note on Burden and Standard of Proof in Refugee Claims, UN High Commissioner for Refugees (UNHCR) Date: 16 December 1998, para: 9

[13] AS/Jur (2023) 11 23 March 2023 ajdoc11 2023 Committee on Legal Affairs and Human Rights Threats to life and safety of journalists and human rights defenders in Azerbaijan

[14] იქვე, გვ.6

[15] Resolution 2317 (2020) Threats to media freedom and journalists' security in Europe

[16] Report Following the Visit to Azerbaijan from 8 to 12 July 2019, 11 December 2019

[17]https://www.coe.int/en/web/commissioner/-/azerbaijan-s-authorities-should-immediately-release-human-right-lawyerelchin-sadykov-and-journalist-avaz-zeynalli-and-stop-intimidating-and-harassing.

[18] ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Najafli v. Azerbaijan) განაცხდი 2594/07, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება*

[19] *ჰილალ მამმადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Hilal Mammadov v. Azerbaijan), განაცხდი 81553/12, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება*

[20] *ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Ismayilova v Azerbaijan), განაცხდი 30778/15, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება*

[21] *ჰუსეინოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Huseynova v Azerbaijan) განაცხადი 10653/10, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება*

[22] *ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Aliyev v. Azerbaijan),) განაცხადი 68762/14 და 71200/14, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება*

[23] *რასულ ჯაფაროვი, (Rasul Jafarov v. Azerbaijan) განაცხადი 69981/14, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება*

[24] ნატიგ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Natig Jafarov v. Azerbaijan), განაცხადი 64581/16, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება*